პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 48 (13169) | შაბათი, 27 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

დღეს ჩვენს ნომერშია:

- სოციალისტური ბანაკის ძალა უძლეველია
- თავისუფლება — ესპანელი ხალხის გმირ შვილს
- ჩვენი პლანეტა ამ დღეებში

ამხანაგი დირექტორი

ადამიანი ყოველდღიურად მიმართავს ქარხნის ან ფაბრიკის ხელმძღვანელს ერმა აზრით აღსავსე სიტყვებით: „ამხანაგო დირექტორო!“. მათ საბჭოთა საწარმოს ხელმძღვანელი მიაჩნიათ არა მარტო წარმოების ორგანიზატორად, კვალიფიციურ სპეციალისტად, არამედ აგრეთვე თავიანთ ამხანაგად საერთო საქმეში, ყველაზე ავტორიტეტად ადამიანად კოლექტივში.

სოციალისტური მშენებლობის წლებში საბჭოთა ქვეყანაში აღიზარდნენ ხელმძღვანელთა შესანიშნავი კადრები, ისინი ხალხის წიაღიდან დაწინაურდნენ. მუშა, ინჟინერი, ქარხნის დირექტორი... ასეთია საბჭოთა საწარმოების, მშენებლობების, საკონსტრუქტორო და საპროექტო ორგანიზაციების ასობით ხელმძღვანელის შრომითი ბიოგრაფია. ბევრმა მათგანმა სახელი გაითქვა როგორც წარმოების ნიპიერმა ორგანიზატორმა, რომლებიც სათავეში უდგანან ტექნიკურ პროგრესს.

ვ. ი. ლენინი ხაზს უვამდა, რომ ვერც რკინიგზები, ვერც საწარმოები ვერ იმუშავებენ სწორად, თუ ნებისყოფის ერთობა არ აკავშირებს ყველა მშრომელს ერთ სამეურნეო ორგანოდ, როდესაც საათის მექანიზმის სიზუსტით მუშაობს. საბჭოთა საწარმოს დირექტორი ერთმმართველია. მაგრამ ეს ერთმმართველობა მჭიდროდ და განუყოფელად დაკავშირებულია საქმის ორგანიზაციის დემოკრატიულ პრინციპებთან, კოლეგიურ დასაწყისთან წარმოების მართვაში.

ერთმმართველობის პრინციპთან ჩვენში შეხამებულია მასების ფართო მონაწილეობა წარმოების უშუალოდ მართვაში. თავის ყოველდღიურ მუშაობაში ქარხნის დირექტორი მუდამ უნდა ეურნობოდეს მოწინავე მუშაკებს, ინჟინრებს, პარტიულ, პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. თავის მხრივ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იზრუნონ დირექტორის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის, მისი იდეური აღზრდისათვის.

მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს ისეთ გამოცდილ ხელმძღვანელებს, როგორიც არიან მოსკოვის პირველი საკისარის დირექტორი ა. ა. გროზოვი, ქარხანა „ზაპოროჟფოლადის“ დირექტორი სოციალისტური შრომის გმირი ლ. დ. იუპკო, ლენინგრადის სკკპ XXII ყრილობის სახელობის ლითონის ქარხნის დირექტორი ა. ა. გრუზდევი, მინსკის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ი. მ. დემინი და ბევრი სხვა. საწარმოთა კოლექტივები, რომლებსაც ისინი მეთაურობენ, სოციალისტური შეჯიბრების, ტექნიკური პროგრესისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, ბევრი სახელოვანი წამოწყების ინიციატორები არიან.

სამწუხაროდ, ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორთა შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთნი, რომლებიც დამაკმაყოფილებლად ვერ ხელმძღვანელობენ წარმოებას, არა აქვთ საკმარო ტექნიკური და ეკონომიური ცოდნა, ქედმაღლურად ეპყრობიან ხელქვეითებს, მათს საჭიროებებსა და მოთხოვნებს. პარტია გაუსწორებს, მკაცრად მოკითხავს ხოლმე ასეთ ხელმძღვანელებს დაშვებული შეცდომებისათვის.

ამას წინათ პარტიის ქალაქ რიაზანის საბჭოს რაიონის რაიკომის ბიურომ დაგმო ელექტრონათურების ქარხნის დირექტორის ა. ა. გორობოვის ხელმძღვანელობის მცდარი სტილი და დადო პარტიული საყვედური. ა. ა. გორობოვი მოქმედებდა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოწყვეტით, არ ეურნობოდა აქტივს, უხეშად ექცეოდა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, არ იჩენდა გეგრილინობას საწარმოო ამოცანების გადაჭრაში. ქარხნის კომუნისტებმა გააშავეს იგი საწარმოს პარტიული კომიტეტის არჩევნებში.

ზოგიერთი ხელმძღვანელი გეგრილინობასა და მომთხოვნელობას ცვლის ნაჩქარევი გადაწყვეტილებებით, ცდილობს უხელმძღვანელოს შიშველი ადმინისტრირების მეთოდებით, ბრძანებებით, დასჯით. დროგობიჩის ავტომაწყობის ქარხნის დირექტორმა ვ. ი. ორლენკომ, მაგალითად, მარტო გასული წლის მეორე ნახევარში ხელქვეით მუშაკებს გამოუტანა 48 საყვედური და 28 გაფრთხილება. ამ ხნის მანძილზე მან დაითხოვა 168 კაცი, ხოლო 131 მუშაკი „თავისი სურვილით“ წავიდა ქარხნიდან. მოიტანა თუ არა ამ ღონისძიებებმა რაიმე შედეგი? სრულიადაც არა. იმავე წლის მეორე ნახევარში ქარხანამ მხოლოდ ერთხელ — იანვარში — შეასრულა თვიური დავალება. მოწყობილობა დატვირთულია სანახევროდ, პროდუქციის თვითღირებულება აღემატება გეგმით გათვალისწინებულს.

ПРАВДА
26 თებერვლის მოწინავე

გეგმა სოციალისტური საწარმოსათვის კანონია. მაგრამ სახელმწიფოსათვის და მაშასადამე, საწარმოს ხელმძღვანელისათვისაც სულ ერთი როდია, თუ რა მეთოდებითა და საშუალებებით სრულდება ეს გეგმა. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არის ქარხნები და ფაბრიკები, სადაც საგეგმო დავალებანი სრულდება ძალის დატანების, იერიშობანაა, საზეგანაკვეთო სამუშაოთა, სახელმწიფო ფასეულობათა უზომო ხარჯვის გზით.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა ცალკეული საწარმოები ვერ ასრულებენ კოოპერირებული მიწოდების გეგმას, მომხმარებლებს უგზავნიან მასალებსა და მაკომპლექტებელ ნაკეთობებს დიდი დაგვიანებით. ეს, როგორც წესი, არღვევს ბევრი ქარხნისა და მშენებლობის მუშაობის რიტმს, იწვევს დროისა და სახსრების დიდ დანაკარგებს. ხშირად ნაწარმს ამზადებენ უხარისხოს, დაუმთავრებელს, არის გადახრები ტექნიკური პირობებისა და სტანდარტებისაგან. უწინარეს ყოვლისა დირექტორს მოეთხოვება პასუხი სახელმწიფო დისციპლინის ყოველგვარი დარღვევისათვის, ნაწარმის ცუდი ხარისხისა და ნაკლები საიმედოობისათვის, საწარმოს ტექნიკური ჩამორჩენისათვის. და ეს გასაგებიცაა: ვისაც ბევრი აქვს მინდობილი, მას ბევრიც მოეთხოვება.

საწარმოთა ხელმძღვანელები მეურნეობას უნდა წარმართავდნენ უაირათიანად. უნდა უფრთხილდებოდნენ ყოველ კაპიკს. ისინი უნდა ცდილობდნენ, რომ სახსრები, რომლებიც წარმოების გაფართოებას ხმარდება, უფრო სწრაფად იძლეოდეს მაქსიმალურ უკუმოგებას. რათა მრეწველობა უშვებდეს ნაკლებ არარენტაბელურ ნაწარმს, სამეურნეო ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან წარმოების მუშაკები აღზარდონ უაირათიანობისა და მომჭირნეობის სულისკვეთებით, არ გაანიავონ ნედლეული, მასალები და ფულადი სახსრები. მეურნეობის გაძღოლის გარდაუვალი კანონია უმეტესი შედეგების მიღწევა უმცირესი დანახარჯებით.

ზოგიერთი საწარმოს დირექტორი საკმაო უურადღებას არ იჩენს მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა ყოფაცხოვრებისადმი. მთელ რიგ საწარმოთა ადმინისტრაცია არ ზრუნავს ქარხნის საყოფაცხოვრებო სათავსოების, სასადილოების, სბაბაშვო დაწესებულებების მშენებლობისათვის, საცხოვრებელი დახების კეთილმოწყობისათვის. არ შეიძლება შეეურიგდეთ ასეთ ფაქტებს: სახელმწიფომ ხომ დააკავა დირექტორს არა მარტო უხელმძღვანელოს წარმოებას, არამედ იზრუნოს კიდეკაც ადამიანებისათვის, რომლებიც ამ წარმოებაში მუშაობენ.

ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, საჭიროა, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები იყვნენ ყოველმხრივ განათლებულნი, ყოველმხრივ მოწინავენი. მაღალი იდეურობა, პოლიტიკური სიმწიფე, წარმოების ეფექტიანად, პერსპექტიულად წარმართვის უნარი — აი რა თვისებები უნდა ჰქონდეთ საბჭოთა დირექტორებს. განსაკუთრებით საჭიროა, რომ ჩვენს სამეურნეო ხელმძღვანელებს ჰქონდეთ ფართო გონებრივი ჰორიზონტი, შეეძლოთ სახელმწიფოებრივად აზროვნება და მოქმედება, თითოეულ ნაბიჯს აფასებდნენ მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესების თვალსაზრისით.

საწარმოთა ხელმძღვანელებს ესაჭიროებათ ყოველდღიური დახმარება და მხარდაჭერა. მათს მუშაობაში განსაკუთრებულ სიძნელეს იწვევს დაგეგმვის დონის ნაკლოვანებანი. ცნობილია, რომ ბევრი ქარხანა გადატვირთულია ხოლმე ხხვადახხვა დამატებითი დავალებით, ხშირად იცვლება მათი გეგმები. ცოტა ნაკლი როდი აქვთ საწარმოთა ხელმძღვანელობაში სახალხო მეურნეობის საბჭოებს. ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ფაქტები, როცა ცოცხალი შემოქმედებითი ხელმძღვანელობა იცვლება სასხდომო ფუსფუსით, ქაღალდების თხზვით. საწარმოთა ხელმძღვანელები ბევრ დროს ანდომებენ ყოველგვარ თათბირებსა და სხდომებს, როცა სრულებით არ არის ეს აუცილებელი.

დირექტორის ინიციატივა ხშირად შებოჭილია წვრილმანი მეურვეობით, სხვადასხვა შეზღუდვით, რომელთაგან ბევრი დიდი ხანია მოძველდა. თუმცა საბჭოთა დირექტორს მინდობილი აქვს დიდი სახელმწიფო ფასეულობა, ყოველთვის როდი შეუძლია გამოიყენოს იგი ისე, როგორც ამას მოითხოვს საწარმოო და ეკონომიური მოზანშეწონილობა. „პრავდის“ რედაქცია იღებს ბევრ წერილს, რომლებშიც აღძრულია საწარმოთა დირექტორებისა და კოლექტივების უფლებათა გაფართოების საკითხები.

კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა სახელმწიფომ საწარმოთა დირექტორებს მიანდეს მუშაობის უზნაშვნელოვანესი უბნები. სწორედ ამ უბნებზე — ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, სარეწებში, მშენებლობებზე — იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საბჭოთა საწარმოების ხელმძღვანელთა მოვალეობაა მთელი თავიანთი ენერგია, ცოდნა, გამოცდილება მოახმარონ ამ დიდი მიზნის რაც შეიძლება მალე მიღწევას.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲓ — ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ

21 მარტი

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში ტარდება წინასაარჩევნო კრებები. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ხალხი ასახელებს მოწინავე კოლმეურნეებს, მუშებს, ინტელიგენციას.

საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს წარჩინებული ტრაქტორისტი ქალიშვილი **ნანული კაპანაძე** და მოწინავე მევენახე **ვასანი დეკანოიძე.**

სოფელ საირხის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენა მოწინავე კოლმეურნეები **ელენე ლაცაბიძე** და **ლეონინე სხირტლაძე,** ჩიხელმა კოლმეურნეებმა — ტრაქტორისტი **გიორგი ბრეგვაძე.** რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან აგრეთვე სავანის კოლმეურნეობის მერგოლური ოლიკა **კომლაძე,** სოფელ ოროულის კოლმეურნე **კატო ნადირაძე,** „საქსოფლტექნიკის“ ტრაქტორისტი **მიხეილ ჩხიტუნიძე,** საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი, სოფელ არგვეთის საშუალო სკოლის დირექტორი **თომა იაშვილი.**

ბურჯაანი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხალხმრავალ კრებებზე ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად ასახელებენ მოწინავე და გულისხმიერ ადამიანებს. სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს სოციალისტური შრომის გმირი, აგრონომი **მიხეილ არჩევნიშვილი,** ველისციხის კოლმეურნეებმა — სოციალისტური შრომის გმირი, ბრიგადირი **მიხეილ მექვეურიშვილი,** მუტუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა — ტრაქტორისტი **აკაკი ცხადაძე,** სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა — **ნანი მენაბდიშვილი,** სოფელ კახისუბნის კოლმეურნეებმა — მეფრინველე **ცირა რევაზიშვილი.**

ბანთიადი (დმანისის რაიონი) სასოფლო კლუბი, სადაც ავიტპუნქტია მოთავსებული, აქაურ კოლმეურნეთა საყვარელი ადგილია.

ეს ახალგაზრდა ამომრჩევლებიც (მარცხნიდან მარჯვნივ) ჯ. დაუთაშვილი, ნ. მანთაშაშვილი, ზ. დევნოზაშვილი და ი. დაუთაშვილი აგიტპუნქტისაკენ მიიჩქარიან.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲡ ᲕᲐᲮᲢᲨᲔ

ქუთაისი. (საკ. კორ.). ბეჯითად, მაღალპროფიერად შრომობს ამ დღეებში საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივი, რომელიც წინასაარჩევნო ვახტშე დგას. აქ 114,4 პროცენტით შეასრულეს საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება. თებერვალშიც უკეთეს მაჩვენებლებს აღწევენ.

საწარმოს კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა პირველი კვარტალის დავალება არჩევნების დღისათვის — 21 მარტისათვის შესასრულოს.

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲗ 1965 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝᲛ ამხანაგებო! ამ ცოტა ხნის წინათ საბჭოთა კავშირის დელეგაცია აზიის სოციალისტური კვეყნებიდან — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან დაბრუნდა. ჩვენ იქ ვიყავით ამ ქვეყნების მთავრობათა მიწვევით. ჰანოიში მიმავალნი და უკან დაბრუნებისას ორჯერ შეგჩერდით პეკინში.

დელეგაციის შემადგენლობაში ჩემს გარდა შედიოდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი ანდროპოვი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ამხანაგი ლოგინოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ამხანაგი კუზნეცოვი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ავიაციის მთავარი მარშალი ამხანაგი ვერშინინი, საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხანაგი სიდოროვიჩი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელჩები ვიეტნამსა და კორეაში ამხანაგები შჩერბაკოვი და მოსკოვსკი.

ასეთი მოგზაურობის დროს განსაკუთრებით თვალნათლივ წარმოგიდგება, თუ რა დიდი და თვალუწვდენია სოციალისტური კვეყნების თანამეგობრობა. მის იმ ნაწილშიც კი, სადაც ჩვენ ვიყავით, გვიხდებოდა ათასობით კილომეტრი მანძილის გავლა, ჰაკის გადოცვლა, — თუ შეიძლება ასე ითქვას, არა დღეობით, არამედ საათობით. მაშინ როცა ვიეტნამში ჩვენი ჩასვლისას ბალახები ბრინჯსა რგავდნენ, კორეაში გორაკები თოვლით იყო დაფარული, ხოლო მდინარეები — ყინულით. მაგრამ ჰავის, ტანსაცმლის, ეროვნული ადათების განსხვავების მიუხედავად, ეს ქვეყნები ერთმანეთს ჰგვანან მთავარით — აქ ცხოვრება სოციალისტურ საწყისებზე ეთარდება, მშრომელი ადამიანები თავიანთი ბედის ბატონ-პატრონები არიან.

რა იყო საბჭოთა დელეგაციის მოგზაურობის მიზანი?

ვიეტნამსა და კორეაში რომ მივდიოდით, მხედველობაში გვქონდა გაგვეზიარებინა აზრები ამ ქვეყნების კომუნისტური პარტიებისა და მთავრობების ხელმძღვანელებისათვის, ერთად მოგვფიქრებინა ღონისძიებანი ჩვენი ძმური ურთიერთობისა და შეკავშირების კიდევ უფრო განსამტკიცებლად, მაშასადამე, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების განსამტკიცებლადაც. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა სოციალისტურ სახელმწიფოთა დიდი ოჯახის წევრები, ჩვენი ამხანაგები და თანამებრძოლები არიან სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლის საერთო საქმეში.

ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წასასვლელად რომ ვემზადებოდით, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო არ გაგვეთვალისწინებინა ის ვითარებაც, რომელიც ამ რაიონში იქმნება. აქ ფაქტიურად ომია, უცხოელი ინტერვენტების ომი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს შეერთებული შტატების მილიტარისტული წრეები აგრესიული მოქმედების გაფართოების სამიზნე გზას ადგებიან. ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე ომის საფრთხის გაღლიერება ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსაგან მოითხოვს მტკიცე ღონისძიებებს, რათა დაიცვან მშვიდობა, ხელი შეუშალონ კონფლიქტის გაფართოებას. საბჭოთა დელეგაციის ჩასვლა დემოკრატიულ ვიეტნამში იმის გამოხატულება იყო, რომ საბჭოთა კავშირი აქტიურად უჭერს მხარს ვიეტნამელი ხალხის სამართლიან საქმეს.

სახალხო ვიეტნამში დელეგაციის ყოფნის პირველი წუთებიდანვე ჩვენ მუდამ გულთბილად გვხვდებოდნენ. ეს ვიგრძენით ჰანოის ეროდრომზე, სადაც მოგვესალმნენ რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები და დედაქალაქის მრავალი მეცხოვრე, მეგობრობის მიტინგზე, რომელიც მეორე დღეს გაიმართა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. აქ, მიუხედავად იმისა, რომ წვიმა ცრიდა, თავი მოიყარა ათეულათასობით ადამიანმა. ასე გულთბილად და გულითადად ხვდებიან მეგობრებს, რომლებთანაც საერთო ინტერესები, რევოლუციური ტრადიციები აკავშირებთ. აქ, ვიეტნამის მიწა-წყალზე, ჩვენ ვნახეთ, რომ ვიეტნამელი ხალხი ისეთივე ღრმა მეგობრული გრძნობებით არის გამსჭვალული საბჭოთა ხალხისადმი, როგორც საბჭოთა ადამიანები თავიანთი ვიეტნამელი ძმებისადმი.

უკვე თითქმის ოცი წელი გავიდა, რაც შეიქმნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა — პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. სამოდამდე ჩაბარდა წარსული ის დრო, როცა აქ კოლონიზატორები ბატონობდნენ. მშრომელები ახლა თავიანთი ქვეყნის ბატონ-პატრონები გახდნენ. ისინი თავდადებულად მუშაობენ, რომ ბოლო მოუღონ ეკონომიურ ჩამორჩენილობას და უზრუნველყონ სოციალიზმის გამარჯვება. ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩვენ მოწმენი ვიყავით ვიეტნამელი მუშებისა და გლეხების შრომითი ენთუზიაზმისა, მათი მტკიცე გადაწყვეტილებისა ახლებურად გარდაქმნან ცხოვრება.

ეს ვნახეთ ჰანოის მახლობლად ერთ-ერთ სასოფლო-საშაურნეო კოოპერატივში. გლეხები სიამაყით გვიამბობდნენ თავიანთი შრომის შედეგებზე. მთელი მათი გარეგნობა თითქოს მეტყველებდა: ახლა ჩვენ ჩვენი მიწის ბატონ-პატრონები ვართ.

ვიეტხამელი გლეხები შეუპოვრად იბრძვიან მინდვრების ნაყოფიერების გადიდებისათვის, ისინი ცდილობენ აიღონ არა ერთი, არამედ ორი და სამი მოსავალიც კი წელიწადში. თვითეული ოჯახის ფულადი შემოსავალი რამდენჯერმე გაიზარდა იმ პერიოდთან შედარებით, როცა ვიეტნამში კოლონიზატორები ბატონობდნენ. ახლა კოოპერაციაში გაერთიანებულია გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით 90 პროცენტი. მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ომამდელთან შედარებით ერთიორად გაზრდა.

ჰანოიში ჩვენი დელეგაციის წევრები ეწვივნენ მექანიკურ ქარხანას — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ თანამედროვე საწარმოს, რომლის მსგავსი იქ ბევრია. კოლონიზატორების დროს ვიეტნამში პრაქტიკულად არ ყოფილა ეროვნული მრეწველობა. ახლა კი აქ შექმნილია საკუთარი ენერგეტიკული საწარმოები, მეტალურგიული, ქიმიური და სხვა ქარხნები. აშენდა ბევრი სკოლა, თითქმის მთლიანად ლიკვიდირებულია უწიგნურობა. ვიეტნამელებმა პირველად მიიღეს უფასო სამედიცინო დახმარება.

ახლა დემოკრატიული ვიეტნამის ხალხი ამთავრებს თავის პირველ ხუთწლედს. ამ ხუთწლედის ძირითადი მიზანია საფუძველი ჩაუყაროს სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ჩრდილოეთ ვიეტნამში.

რა თქმა უნდა, ახალი საზოგადოების შექმნა ადვილი საქმე როდია. სოციალიზმის მშენებლობა წარმოუდგენელია ადამიანთა ბრძოლაში, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც არის ვიეტნამი, სადაც კოლონიზატორთა ბატონობამ მძიმე მემკვიდრეობა დატოვა. მაგრამ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი თავისი პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიდის წინ სოციალისტური გზით.

ჩვენი ჩასვლის წინ ვიეტნამელმა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა ვიეტნამის კომუნისტთა პარტიის დაარსების 35-ე წლისთავი. ვიეტნამის მშრომელთა პარტია და მისი ხელმძღვანელები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ხალხში. ჩვენ მოხარული ვიყავით, როცა შევხვდა ამხანაგ ხო ში მინს — ვიეტნამის კომუნისტთა პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელს და ნაცად ხელმძღვანელს, მის თავმჯდომარესა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს. ჩვენ სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ იგი კვლავინდებურად მხნე და დაუცხრომელია, მთელ ძალებს ახმარს თავის ხალხს. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შეხვედრებმა და საუბრებმა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხანაგ ლე ზუანთან, პრემიერ-მინისტრთან ამხანაგ ფამ ვან დონგთან და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელთა მოღვაწეებთან.

თუ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ მიდიან სოციალური, ეკონომიური და კულტურული პროგრესის გზით, სულ სხვანაირად წარიმართა ვიეტნამელი ხალხის ბედი სამხრეთ ვიეტნამში.

უკვე მრავალი წელია სამხრეთ ვიეტნამის მიწა-წყალზე წარმოებს გაფფრთრებული ომი, ჟლეტენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, წვავენ სოფლებს. ეს ომი ამერიკელმა იმპერიალისტებმა დაიწყეს. შეერთებულმა შტატებმა უხეშად დაარღვიეს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი. მათ ჩაშალეს ვიეტნამში დემოკრატიული არჩევნები და ამ ქვეყნის სამხრეთში საიგონის ანტიხალხური რეჟიმი დაამყარეს. და მიუხედავად იმისა, რომ ეს რეჟიმი მხოლოდ ამერიკის ხიშტებს ეყრდნობა, სამხრეთ ვიეტნამში რამდენიმე თვეც კი არ გავა ისე, რომ მორიგი სახელმწიფო გადატრიალება არ მოხდეს. მარიონეტი მმართველები ბარბაროსული სისასტიკით ცდილობენ ჩაახშონ ვიეტნამელი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი. სამხრეთ ვიეტნამში 25 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისაცი და ოფიცერი მონაწილეობს საბრძოლო ოპერაციებში ვიეტნამელი პატრიოტების წინააღმდეგ. სამხრეთ ვიეტნამის ნაპირებთან განუწყვეტლივ მიმოდიან ამერიკის მე-7 ფლოტის ავიამზიდები და სხვა საბრძოლო ხომალდები.

თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვიეტნამის ბინძურ ომზე და საიგონის ანტიხალხური რეჟიმის მხარდაჭერაზე მილიარდობით დოლარი დახარჯეს, მათ ვერ გატეხეს სამხრეთვიეტნამელი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი. ვერც ტყვიამ, ვერც ნაპალმმა ვერ შეაჩერა და ვერც შეაჩერებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სამხრეთ ვიეტნამში. მას ხადგილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი აქვს.

ამ ბრძოლაში მონაწილეობენ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და რწმენის ადამიანები. მაგრამ მათ აერთიანებს ძირითადი მიზნები. ისინი იბრძვიან უცხოელთა ინტერვენციის შეწყვეტისათვის, სამხრეთ ვიეტნამში ეროვნული კოალიციური მთავრობის შექმნისათვის, რომელიც დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკას განახორციელებს.

არსებული ცნობების თანახმად, სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულმა ფრონტმა უკვე გაათავისუფლა საიგონის რეჟიმისა და იხტერვენტების ბატონობისაგან სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაახლოებით სამი მეოთხედი, სადაც ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ცხოვრობს.

შეხედეთ ამ რუკას. შავი ფერით შეღებილია რაიონები, რომლებზეც ჯერ კიდევ ვრცელდება ოკუპანტებისა და საიგონელი მარიონეტების კონტროლი. თეთრით აღნიშნულია სამხრეთ ვიეტნამის უკვე განთავისუფლებული ნაწილები. რუკაზე თვალნათლივ ჩანს, რომ სამხრეთ ვიეტნამში არ არის არც ერთი რაიონი, სადაც სამხრეთვიეტნამელი შეიარაღებული პატრიოტები არ მოქმედებდნენ. საიგონელი ხელისუფალნი და ინტერვენტები კვლავ ინარჩუნებენ კონტროლს მხოლოდ დიდი ქალაქების, რკინიგზის ხაზებისა და ძირითადი გზატკეცილებისადმი. დიდი ხანია დროა, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა გაიყვანონ თავიანთი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და შესაძლებლობა მისცენ ხალხს თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი უცხოელთა ჩაურევლად.

ახლა, როცა საგონის რეჟიმს გაკოტრების საფრთხე მოელის, შეერთებული შტატები აგრესიის გაფართოებისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის და ინდოჩინეთის სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციების მოწყობის გზას ადგებიან. მათ სურთ შექმნან ვითარება, რომელიც საშუალებას მისცემს სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნონ ამერიკელი ჯარისკაცების ახალი რაზმები, რათა ერთხელ კიდევ სცადონ ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი. თვითეულ საღად მოაზროვნე ადამიანს ნათლად უნდა ესმოდეს, რომ ასეთ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ სრული კრახი. ამას თვალისწინებენ ყველაზე რეალურად მოაზროვნე ადამიანებიც თვით შეერთებულ შტატებში.

ამერიკის სამხედრო ხროვა სულ უფრო რწმუნდება, რომ იფუშება მისი ტაქტიკა სამხრეთ ვიეტნამში, და ბომბავს ჩრდილოეთ ვიეტნამის მშვიდობიან მოსახლეობას, რათა დააშინოს ვიეტნამელი პატრიოტები. იმპერიალისტები ცდილობენ შური იძიონ მთელ ვიეტნამელ ხალხზე იმისათვის, რომ სამხრეთვიეტნამელ პატრიოტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოიპოვონ თავისუფლება, მაგრამ იმპერიალისტები დიდად ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ ასეთი გზით შეძლებენ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს. ეს რეპრესიები მხოლოდ აძლიერებს სიძულვილს უცხოელი ინტერვენტებისადმი, განმტკიცებს ვიეტნამელი ხალხის სიმამაცესა და შეუდრეკლობას.

მომძე რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩვენ ვნახეთ, თუ რა დიდი სიმამაცითა და შეუდრეკელობით შეხვდა ვიეტნამელი ხალხი ამერიკის სამხედრო ხროვის პროვოკაციულ აქტებს. ჩვენ ვნახეთ მძლავრი საპროტესტო დემონსტრაციები.

ვიეტნამელი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდა, რათა მტკიცე პასუხი გაეცა აგრესორებისათვის. ამერიკის თვითმფრინაველების ავაზაკური თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებზე გულისწყრომით და გაოცებულ გმობენ საბჭოთა ხალხი, ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხები, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. იმ ქვეყნებშიც კი, რომლებიც შეერთებული შტატების მოკავშირენი არიან, მაგალითად, ინგლისში, იტალიაში, იაპონიაში, ზედიზედ იმართება საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები.

იცავდე ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას ნიშნავს იმასაც, რომ იცავდე დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ვიეტნამელი ხალხისათვის მხარის დაჭერა მსოფლიოს ყველა პროგრესული ადამიანის

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის გამოსვლა

(დასასრული).

ლისტურ რეაქციას, სხვადასხვა შეხედულებისა და მრწამსის ადამიანები, თუ მათთვის ძვირფასია ჰუმანიზმის იდეალები, იძაღლებენ ხმას და გმობენ თვითნებობასა და უკანონობას ვიეტნამელი ხალხის მიმართ.

საყვედურებელია, რომ ინდოჩინეთში შექმნილი ვითარება ვიეტნამის ხელმძღვანელებთან ჩვენი საუბრების ცენტრში იყო. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით ვაცნობეთ ვიეტნამელ მეგობრებს, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილი არ იქნება მოძმე სოციალისტური რესპუბლიკის ვეფიასადმი და საკეთო დახმარებას გაუწევს მას.

ჩვენი ერთობლივი განცხადებიდან იცით, რომ მოლაპარაკების დროს შეეთანხმდით იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც განვახორციელებთ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოების დასაცავად და თავდაცვისუნარიანობის გასაძლიერებლად. ახლა ეს შეთანხმება ხორციელდება. ნუროვენ ნუ მიეცემა ყალბ ილუზიებს, რომ აგრესია სახალხო ვიეტნამის წინააღმდეგ დაუსჯელი დარჩება.

ვიეტნამელ ამხანაგებთან საუბრების დროს განვიხილეთ აგრეთვე ვითარება, რომელიც შეიქმნა ინდოჩინეთის სხვა სახელმწიფოებში. პროვოკაციებს აწყობენ კამბოჯის დამოუკიდებლობისა და ნეიტრალიტეტის წინააღმდეგ. ამერიკის ჩარევა ლაოსის საქმეებში ართულებს ისედაც მეტად დაძაბულ მდგომარეობას ამ ქვეყანაში. 1962 წელს სამი ძალის შეთანხმების შედეგად ლაოსში შეიქმნა ეროვნული ერთიანობის მთავრობა, და ლაოსის საკითხის მოწესრიგების ჟენევის თათბირის მონაწილეებმა, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, ვალდებულება იკისრეს პატივი სცენ ასეთ მოწესრიგებას და „ყოველნაირად დაიცვან ლაოსის სამეფოს სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი, ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა". ახლა კი, პირდაპირი ჩარევის სხვა ფორმებთან ერთად, ამერიკის ავიაცია თავს ესხმის ლაოსის მშვიდობიან მოსახლეობას, ამასთან სწორედ იმ რაიონების მოსახლეობას, სადაც ნგრეკამ, ამერიკელთა აზრით, შეიძლება შეცვალოს ამ ქვეყნის ძალთა თანაფარდობა მათთვის სასურველი მიმართულებით. აი კიდევ ერთი მაგალითი, თუ როგორ თელავენ ფეხქვეშ საერთაშორისო შეთანხმებებს, საერთაშორისო სამართალს. ჩვენ დავადასტურეთ, რომ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დაეიცავთ ჟენევის შეთანხმებანი, და მოვთხოვეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, აგრეთვე ჟენევის თანამონაწილე სხვა მონაწილეებს პატივი სცენ და მტკიცედ დაიცვან თავიანთი ვალდებულებანი.

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული მოქმედება სუვერენული სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ბუნებრივია, იწვევს მძავალი ქვეყნის მთავრობათა და ხალხთა სერიოზულ შეშფოთებას. ახლა უკვე ცოტა ვინმეს ეპარება ეჭვი, რომ. თუ ამერიკელმა იმპერიალისტებმა განაგრძეს აგრესიული მოქმედება სოციალისტური ვიეტნამის წინააღმდეგ, კონფლიქტი მსოფლიოს ამ რაიონში გარდუვალად გასცდება თავის თავდასაცავ ფარგლებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ვაშინგტონში აცხადებდნენ, რომ საჭიროა გამოიახოს მშვიდობის განმტკიცების გზები, რომ საჭიროა გაფართოვდეს საერთაშორისო კონტაქტები. საბჭოთა კავშირი, როგორც ცნობილია, იღვწს იმისათვის, რომ დაამყაროს კონტაქტები სხვა ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, იღვწის იმისათვის, რომ შეიმუშაოს საერთაშორისო დაძაბულობის შეხელების ღონისძიებანი. მაგრამ შეერთებული შტატების მთავრობის ამ განცხადებებს სრულიადაც არ შეესაბამება მისი მოქმედება, რომელიც მიმართულია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევა მოლიარული და სახიფათო გზაა.

შექმნილ ვითარებაში ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მოვალეობაა გადაჭრით გამოვიდეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებებისა და სუვერენიტეტის დასაცავად. თუ წინააღმდეგობას არ გავუწევთ იმპერიალისტთა იმ პოლიტიკას, რომ სამხედრო ძალა გამოიყენონ ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ დამოუკიდებლობას იცავენ, თუ გვერდს ავუვლით იმპერიალისტური აგრესიის ფაქტებს, მუდმივ საფრთხეში ჩავენ ევროპის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ყოველი ახალგაზრდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. ბოლო უნდა მოეღოს იმას, რომ იმპერიალიზმი ხელყოფდეს ხალხთა უფლებებს.

მშვიდობისმოყვარე ქვეყნები მოითხოვენ ჟენევის შეთანხმებათა განუხრელად შესრულებას, რომ აღიკვეთოს კონფლიქტის გაფართოება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და მოლაპარაკების საშუალებით გამოინახოს ინდოჩინეთის პრობლემის მოწესრიგების გზები. შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტონ აგრესიული აქტები დემოკრატიული ვიეტნამის წინააღმდეგ — ეი რა არის საჭირო უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ შეექმნათ ინდოჩინეთში მდგომარეობის ნორმალიზაციის გზების გამონახვის პირობები.

ვიეტნამში მივიღეთ მკაფიო შთაბეჭდილება, რომ ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მოიგეროს იმპერიალისტთა იერიშები, დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა, მშვიდობა და თავისუფლება. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება. ჩვენი დელეგაცია ვიეტნამიდან წამოვიდა მადლობის გრძნობით აღსავსე იმ გულთბილი მიღებისათვის, ამხანაგური საუბრებისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა გაგვიწიეს.

დიდ მნიშვნელოვან ვანიკუბდით მგზავრობას კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრებსა და საუბრებს.

დემოკრატიულ კორეაში ვყოფილვარ წინათაც, 1961 წელს. უნდა ვთქვა, რომ მას შემდეგ განვლილ ოთხ წელიწადში რესპუბლიკამ ბევრ რამეს მიაღწია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, თავისი ეკონომიკის განვითარებაში.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სახალხო კორეის დედაქალაქი ფხენიანი. უკვე როცა ქალაქს უახლოვდები, ხედავ ფაბრიკებისა და ქარხნების ახალ კორპუსებს, მაღალ ძაბვის ხაზების ანძებს. ფართო მაგისტრალები გაყოლებით ლამარფოვი თანამედროვე საცხოვრებელი სახლების უბნები, საზოგადოებრივ დაწესებულებათა შენობები. თორმეტიოდე წლის წინათ აქ ხომ მხოლოდ ამერიკული ბომბებით აფეთქებულ შენობათა ნანგრევები იყო. ეს ახალი თანამედროვე ქალაქი, ფერფლიდან აღმდგარი, განასახიერებს კორეელი ხალხის მძლავრ შემოქმედებითს ძალას, მის მტკიცე ნებასა და ენერგიას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

კორეელმა ხალხმა ბრძოლისა და განსაცდელთა დიდი გზა განვლო. იმ წლებში, როცა კორეა იაპონელ მილიტარისტთა უღელქვეშ იყო, კორეელი პატრიოტები თავდადებულ და აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ. განთავისუფლების შემდეგ ოც წელზე ნაკლებ ხანში სოციალისტური კორეა გადაიქცა განვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ. მთელი ამ წლების მანძილზე სახელოვანი კორეის შრომის პარტია მშრომელთა მასების მებრძოლი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დიდი წარმატებანი მოწმობენ იმას, რომ მტკიცეა კორეის საშინაოპოლიტიკური მდგომარეობა, რომ მშრომელები მჭიდროდ არიან შეკავშირებული თავიანთი პარტიის გარშემო.

ახლა დემოკრატიული კორეა ასრულებს თავის შვიდწლიან გეგმას. შვიდწლიდის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებამ დიდი ნაბიჯი უნდა გადადგას წინ. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაწერილებით გვიამბეს, თუ როგორ მიდის საქმე ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, როგორ წყვეტენ პრობლემებსა და ძლევენ სიძნელეებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მძიმე მრეწველობის, ქიმიისა და ენერგეტიკის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარებას.

სწორედ ჩვენი იქ ყოფნის დღეებში ასამუშავებლად ამზადებდნენ ფხენიანის თბოელექტროცენტრალის პირველ ენერგობლოკს. როცა ფხენიანის თბოელექტროცენტრალი მიაღწევს თავის საპროექტო სიმძლავრეს — დაახლოებით 400.000 კილოვატს, — ეს იქნება მნიშვნელოვანი წვლილი რესპუბლიკის ენერგეტიკულ ბალანსში. სიამოვნებით შეეხეთ, რომ საბჭოთა სპეციალისტებს, რომლებიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ამ და სხვა ობიექტებზე მუშაობენ, ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნების ძმური თანამშრომლობაში.

კორეაში სოციალიზმის მშენებლობა რთულ პირობებში წარმოებს. კორეა, ისევე როგორც ვიეტნამი, ხელოვნურად გაყოფილია ორ ნაწილად. აქ, ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ერთმანეთს შეეჯახა ორი საზოგადოებრივი სისტემა, განვითარების ორი გზა. თუ შევადარებთ განვლილი წლების შედეგებს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეაში, განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება სოციალისტური გზის უპირატესობა.

სამხრეთ კორეა ბევრად ჩამორჩა სოციალისტურ ჩრდილოეთ კორეას მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. სიღატაკე და შიმშილი კვლავაც ხვდრია სამხრეთ კორეის მოსახლეობის უმრავლესობისა. იქ ბატონობს მოღალატე ანტიხალხური ხროვა, რომელიც მხოლოდ ამერიკის ხიშტებს ეყრდნობა. იმპერიალისტები სამხრეთ კორეას იყენებენ როგორც კოლონიას და სამხედრო ბაზას, ხელს უშლიან კორეის მშვიდობიან განვითარებას, სჩადიან პროვოკაციულ მოქმედებას სახალხო კორეის წინააღმდეგ.

ფხენიანში ყოფნის დროს ჩვენი დელეგაცია შეხვდა და ესაუბრა კორეელი ხალხის ერთგულ შვილს, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ ირ სენს. ვესაუბრეთ აგრეთვე უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ცოი ენ გუნს, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხანაგ კიმ ირს და კორეის შრომის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. მეგობრულ, ამხანაგურ ვითარებაში ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები პოლიტიკურ, პარტიულ საკითხებზე, ჩვენი ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე. ერთმანეთს ვხვდებოდით და ვსაუბრობდით როგორც ადამიანები, რომლებსაც ერთიანებს საერთო დიდი საქმის — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ინტერესები. ჩვენი ბაზის შედეგები ჩამოყალიბებულია ერთობლივ განცხადებაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა.

საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრობა ვითარდებოდა და მტკიცდებოდა ომის განსაცდელის მძიმე წლებში და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხები ერთად იბრძოლებენ სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველია მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც 1961 წელს დაიდო. ეს ხელშეკრულება გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთმანეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევას და მხარდაჭერას იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის ან სოციალისტური კორეის წინააღმდეგ შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდება, და ამავე დროს იგი დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

კორეელ ამხანაგებს გავუცხადეთ, რომ საბჭოთა ხალხი დიდი თანაგრძნობით ეკიდება კორეელი ხალხის ბრძოლას კორეის გაერთიანებისათვის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამერიკის ჯარები უნდა გაიყვანონ სამხრეთ კორეიდან, და მხარს ვუჭერთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს, რომ მშვიდობიანი გზით გაერთიანოს თავისი სამშობლო. კორეის საკითხი კორეელი ხალხის საშინაო საქმეა. ეს საკითხი შეუძლია გადაწყვიტოს და კიდევაც უნდა გადაწყვიტოს მხოლოდ თვითონ კორეელმა ხალხმა.

კორეელ ამხანაგებთან საუბრების დროს საერთო აზრი შეგვექმნა ძირითად პრობლემებზე, რომლებსა წარმოშვა აზიის სხვა რაიონებში, კერძოდ, ინდოჩინეთში იმპერიალიზმის აგრესიულ მოქმედებასთან დაკავშირებით.

ფხენიანში მომხდარმა შეხვედრებმა და საუბრებმა ცხადყო, რომ ჩვენი პარტიები და მთავრობები ცდილობენ განამტკიცონ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიერთ თანამშრომლობა და შეკავშირება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის ძმური საბრძოლო შეგობრობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება.

მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო გულწრფელი მადლობა ამხანაგებს კიმ ირ სენს, ცოი ენ გუნს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებს, კორეის ყველა მშრომელს მეგობრული საუბრებისათვის, იმ გულთბილობისა და გულთბილოსნებისათვის, რომლითაც ყველგან გვხვდებოდნენ.

თუ შევჯამებთ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა დელეგაციის მოგზაურობის შედეგებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მოგზაურობამ ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებას. როგორც ჩვენმა ერთობლივმა განცხადებებმა დაადასტურა, მოლაპარაკების უმნიშვნელოვანესი შედეგი ის, რომ საბჭოთა კავშირი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა მზად არიან ყველაფერი იღონონ, რათა დაიცვან, განავითარონ და განამტკიცონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ძმური შეგობრობა და შეკავშირება, განამტკიცონ ერთიანი ფრონტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ნება მიბოძეთ ჩვენი ვიეტნამელი და კორეელი მეგობრების თბოვნა შევასრულო და მათი სახელით მხურვალედ მივესალმო ყველა საბჭოთა აღამიანს და გულითადად ვუსურვო ახალი წარმატებანი კომუნიზმის მშენებლობაში.

როგორც უკვე ვთქვეს, მოგზაურობის დროს ორჯერ შევჩერდით პეკინში, სადაც შეეხვედით და ესაუბრეთ ამხანაგებს მაო ძე-დუნს, ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაის, დენ სიაო-პინს, ჩენ ის და ჩინეთის სხვა ხელმძღვანელებს. ეს იყო აზრთა გულახდილი გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო პრობლემებზე. ჩვენ განვიხილეთ საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის, ჩვენი პარტიებისა და ქვეყნების ურთიერთობანი.

ამ საუბრების დროს საბჭოთა დელეგაციის [illegible] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოზიცია. ჩვენ მტკიცედ [illegible] — [illegible] კომუნიზმის მშენებლობის [illegible] ბრძოლის, რევოლუციური მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მხარის დაჭერის, მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობასა და ძმურ სოლიდარობას, მათ შორის პარტიული და სახელმწიფო ურთიერთობის განვითარებას. ჩვენ ვცდილობთ დავძლიოთ სიძნელენი მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, შევაკავშიროთ იგი მარქსიზმ-ლენინიზმის, კომპარტიების მოსკოვის თათბირების დეკლარაციისა და განცხადების პრინციპად ბაზაზე. ეს რეალური საფუძველია კომუნისტური მოძრაობის ყველა რაზმის შეკავშირებისათვის.

პეკინში მოლაპარაკების დროს შევეხეთ აგრეთვე რამდენიმე საკითხს, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას შეეხება. ამ საკითხების პრაქტიკულ გადაჭრას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნებისათვის.

ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნია ეს შეხვედრები და საუბრები ჩინეთის ხელმძღვანელებთან. ამან ხელი შეუწყო ჩვენი ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობათა გამორკვევას.

ბუნებრივია, რომ სიძნელენი და უთანხმოებანი, რომლებიც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში წარმოშვა, ერთბამად ვერ გადაიჭრება. ჩვენ ვითვალისწინებთ იმას, რომ არის აზრთა ისეთი განსხვავება, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების გარკვეულ თავისებურებებთან, სხვადასხვა ეტაპზე განვითარების სპეციფიკასთან. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ეს განსხვავება, რომელსაც საფუძვლად უდევს თვითეული ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიული ვითარება, ეროვნული თავისებურებანი და ეროვნული თვითმყოფობა.

მაგრამ მარქსიზმ-ლენინიზმის ძალა ის არის, რომ ასეთი თავისებურებანი და ასეთი სპეციფიკა არათუ არ ეწინააღმდეგება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის საერთო ამოცანების გადაწყვეტას, არამედ ორგანულად შერწყმულია სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიად პრინციპებთან. ჩვენი პარტია მუდამ თანმიმდევრულად იბრძოდა და იბრძვის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ნეკეთვის წმიდათა-წმიდა პრინციპების განხორციელებისათვის.

ჩვენი ინტერნაციონალური მოვალეობაა — ყველა კომუნისტური პარტიის, მთელი რევოლუციური ძალების მოვალეობაა — გაერთიანდეთ ერთ მწყობრში, განვამტკიცოთ მოქმედების ერთიანობა, ერთად დავიცვათ მშვიდობისა და სოციალური პროგრესის საქმე.

სოციალისტური ბანაკის გაერთიანებული ძალა უძლეველია. ეს სავსებით სამართლიანად სწამთ არა მარტო სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასსაც. არავის არ უნდა შეეშინოს ეჭვი, რომ სოციალისტური სახელმწიფოები ერთიანი და სოლიდარული არიან იმპერიალისტური საფრთხის წინაშე. მათ აქვთ რეალური საშუალებანი, რათა აღკვეთონ თავიანთი უშიშროების ყოველგვარი ხელყოფა იმპერიალისტი აგრესორების მხრივ.

საბჭოთა კავშირი კვლავაც ყველაფერს იღონებს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განსამტკიცებლად, ამავე დროს ჩვენი პოლიტიკა მიმართული არ არის რომელიმე ქვეყნისა თუ ერის წინააღმდეგ. მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად — მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად ჩვენ მზად ვართ კვლავაც ვიბრძოლოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის. მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები უნდა შეკავშირდნენ, რათა აღმოფხვრან ყოველგვარი საფრთხე, ყოველგვარი დაძაბულება კაცობრიობის მშვიდობისა და სოციალური პროგრესის გზაზე. მშვიდობის განმტკიცება უზრუნველყოფს გარეშე პირობებს კომუნიზმის აშენების დიადი მიზნის განხორციელებისათვის, რომელსაც საბჭოთა ხალხი ამიდის, დიდად შეუწყობს ხელს მთელ კაცობრიობის სოციალურ პროგრესს.

პატივცემულო ტელემაყურებლებო, ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ ყურადღებისათვის.

ფაბრიკაში რეკლამაცია მოვიდა. მძიმე ტვირთად დაეწვა ის ისედაც სავალალო ფინანსურ მდგომარეობაში მყოფ წარმოებას. თბილისის ბრეშუმსაკერავმა ფაბრიკამ სოხუმის საკერავი ფაბრიკის მიერ დეკემბერში გამოშვებული 9 ათას მეტრზე მეტი კაპრონი მთლიანად უკან დააბრუნა. თითქმის კი ათასამდე მანეთის უხარისხო პროდუქცია ფაბრიკის საწყობში ჩაწვა...

ეს პირველი შემთხვევა როდია. აქ ხომ დაბრუნებული საქონლის ტევა აღარ არის. აი უკვე რამდენი ხანია საწარმოს საწყობებში დიდი რაოდენობით დგევს აქ დამზადებული პლუში. რაც იქ არ დაეტია, საამქროებში მოუთავსებიათ.

რეკლამაციაზე მოდის ფაბრიკის კოლექტივის სახელზე. სოხუმელ ფეიქრთა მოქსოვილ პლუშსა და კაპრონს სავაჭრო ორგანიზაციები "წამდაუწუმ უკან აბრუნებენ და სავსებით სამართლიანად—როგორც უხარისხოს, აგრეთვე ისეთს, რომელზეც მოთხოვნილება არ არის.

ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფაბრიკა იძულებული იყო სხვადასხვა ბაზებიდან დიდი რაოდენობით დაბრუნებული პროდუქცია ახლით შეეცვალა და ხელმეორედ გაეგზავნა იმავე მისამართით.

ამას წინათ ქუთაისის სავაჭრო ბაზამ ორი ათასი ცალი ლოგინის გადასაფარებელი დაუბრუნა. ფაბრიკას მეტი რა გზა ჰქონდა, უკან მიიღო თავისი „ნახელავი". კიდევ უარესი. თბილისის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილებამ შემოწმებული 5.298 მეტრიდან სხვადასხვა დეფექტის გამო პირველიდან მეოთხე ხარისხში გადენობით უკან დაბრუნებულმა უხეიროდ შეღებილმა პლუშმა ერთხელ კიდევ შეახსენა სოხუმელ ფეიქრებს, რომ ისინი წუნდებული პროდუქციის გამოშვების უბადლო „ოსტატები" არიან. მართალია, ნათქვამია, კაცია და გუნებაო, მაგრამ აქ გამოშვებული წითელი, მწვანე, ყვითელი, შავი ფერის პლუში მომხმარებელს ყიდვის ხასიათს გაუფუჭებს.

ყოველივე ეს არის იმის მთავარი მიზეზი, რომ ამჟამად ფაბრიკაში ჩაწოლილია 50 ათას მეტრზე მეტი მზა პროდუქცია. ხოლო სასოფლო ფაბრიკა ქსოვენ და ქსოვენ პროდუქციას... საწყობისათვის!

რა გასაკვირველია, რომ ამის გამო ფაბრიკა მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. „გაყინული სახსრების" ზრდის გამო საქმე იქამდე მივიდა, რომ მიმდინარე წლის იანვრის პირველ ნახევარში ფაბრიკას მუშებისათვის ხელფასის მისაცემი თანხა არ გააჩნდა!

გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ფაბრიკის ვითხელმძღვანელებმა მრავალი დეპეშა გაგზავნეს სხვადასხვა მისამართით. ისინი თითქმის ერთისა და იმავე შინაარსისაა. აი ერთი მათგანი, რომელიც გაიგზავნა საქართველოს საფეიქრო ვაჭრობისა და საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოების სახელზე:

„მზა პროდუქცია ჩაწოლილია საწყობებში რეალიზაციის განხორციელების უქონლობის გამო. ბანკში ფაბრიკის ანგარიშზე თანხა არ არის. მუშებს ხელფასს ვერ ვაძლევთ. საქონლის დასაწყობი ადგილი არ არის; გთხოვთ დაუშვათ განწესება.

საქსოვი ფაბრიკის დირექტორი გიცობა: 26 იანვარი 1965 წ."

მაგრამ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველო დუმს. ფაბრიკის ადმინისტრაცია იძულებულია თვითონ გახდეს აგენტი თავისი პროდუქციის გაყიდვის უზრუნველსაყოფად (!). ყანახეთისა და თურქმენეთის სხვადასხვა ოლქების სავაჭრო ორგანიზაციების მისამართით იგზავნება და იგზავნება დეპეშები.

მრავალრიცხოვანი მივლინებები, რომლებიც უმთავრესად პროდუქციის გახადვასთან არის დაკავშირებული, ძვირად ჯდება წარმოებას. ამ საქმისათვის გამოყოფილი სახსრების სისტემატური გადახარჯვა ხდება. ფაბრიკაში მიმდინარე წლის პირველი კვარტალისათვის გამოყოფილი სამივლინებო თანხის — 462 მანეთის ნაცვლად უკვე დახარჯულია 664 მანეთი!

ვინ დადის ძირითადად ამ მივლინებებში?

ფაბრიკის დირექტორის ზინაიდა გიცობასა და მთავარი ინჟინრის გიორგი ფარცხალაძის გარდა პროდუქციის რეალიზაციის საბაბით ცვლის ოსტატი ვ. თეთრუაშვილიც ის ხშირად მოგზაურობს (!).

ფაბრიკის რა რენტაბელურ მუშაობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც აქ არ სრულდება პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. შარშან ამ დავალების შესრულებას დაკლდა 69 ათას მანეთამდე. ხოლო მოგების გეგმის შესრულებას 25 ათასზე მეტი მანეთი დაკელეს.

რეკლამაციების კვალდაკვალ ფაბრიკაში წავაწყდით სხვადასხვა სერიოზულ ნაკლოვანებებსაც. აქ კარგა ხანია გამეფებულია იერიშობანა. როგორც კანონი, გეგმის შესრულებისათვის ფაბრიკაში „ზრუნავენ" თვეების ან კვარტალის ბოლო დღეებში. ამიტომ არის, რომ საწარმოში დიდია დანადგარებისა და მუშა ხელის მოცდენა.

შარშან ფაბრიკის ადმინისტრაციამ იძულებითი მოცდენისათვის მუშებს გადუხადა 2.500 მანეთამდე. გარდა ამისა, საწარმოში მანქანა-დანადგარების მოცდენამ 8 ათას საათს გადააჭარბა. ამავე დროს ფაბრიკაში ხშირად მიმართავენ საწარმოო გეგმების შესრულების ისეთ დაგმობილ მეთოდს, როგორიც არის ზედმეტ საათებში მუშაობა. ამის გამო გასული წლის ბოლოს პროფკავშირული ორგანიზაციის ჩარევით ფაბრიკის ადმინისტრაცია იძულებული გახდა 195 მანეთი გადაეხადა მუშებისათვის! ესეც, რასაკვირველია, თავისებურ დაღს ასვამს პროდუქციის თვითღირებულებას.

მდგომარეობა საგანგაშოა!

ისმება კითხვა, რა პოზიცია უჭირავს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს? მორიგი „მორალის წასაკითხავად" ხშირად იბარებენ თბილისში ფაბრიკის დირექტორს და მთავარ ინჟინერს. სამმართველოს მუშაკებიც იშვიათად როდი ჩამოდიან სოხუმში, მაგრამ კონკრეტულ პრაქტიკულ დახმარებას ნაკლებად უწევენ ფაბრიკას. მათთვის ცნობილია, რომ განწესების უქონლობის გამო მზა პროდუქცია არ საყიდლა. სამმართველო კი ამ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეს ყურადღებას არ აქცევს.

შარშან ფაბრიკამ ასორტიმენტით გათვალისწინებული ხუთი სახეობის ნაცვლად სამი სახეობის პროდუქცია გამოუშვა. ეს იმის გამო, რომ ფაბრიკა უზრუნველყოფილი არ იყო სათანადო ნედლეულით.

რა გასაკვირველია, რომ ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ წარმოებაში შრომის დისციპლინა დაეცა, შრომის ორგანიზაცია კი თვითდინებაზეა.

მქსოველები მხოლოდ დღიური ნორმის როგორმე შესრულებაზე ფიქრობენ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის კი აქ არავინ ზრუნავს!!!

სოხუმელი ფეიქრები ჯერ არც კი გასცნობიან მოსკოვის და ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივების პატრიოტულ თოსნობას! არც ადმინისტრაციას, არც პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ხელიც არ გაუწარავთ, რომ ფაბრიკის კოლექტივი ჩაბმულიყო ამ მნიშვნელოვან მოძრაობაში.

ფაბრიკაში ძალიან ცუდი სამუშაო პირობებია. ფარდალალა შენობა გაუთბობელია. მუშებს შრომა უხდებათ ცივ, ნესტიან სამქროებში. არც სასადილო გაჩნია, არც ტანსაცმელის გასახდელი, მოუწესრიგებელია საშხაპე.

არ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კპ სხუმის საქალაქო კომიტეტმა არ იცოდეს, თუ რა მდგომარეობაა ფაბრიკაში. მისი მუშაკები იშვიათად, მაგრამ მაინც მოდიან წარმოებაში, ეცნობიან აქ ამა თუ იმ ნაკლს და საქმე ამით მთავრდება.

საინტერესოა, როდემდის უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა სოხუმის საქსოვ ფაბრიკაში? როდის უნდა შეწყდეს ამ წარმოებაში უხარისხო და მომხმარებელთა მიერ დაწუნებული პროდუქციის გამოშვება?

ი. გოგეჩია.

„კომუნისტის" საკ. კორ.

საქართველოს კომუნისტი" № 2

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის **„საქართველოს კომუნისტის"** მორიგი, მეორე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მოწინავე** — მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე და ორგანიზებულად ჩავატაროთ ადგილობრივი საბჭოების არჩევნები; **ა. როდიონოვი** — მუშაობის ლენინური სტილის ძირითადი ნიშნები; **შ. გაგოშიძე** — იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომი ამაღლებისათვის; **ბ. გუბელიძე** — პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო ორხელისუფლებიანობის პერიოდში.

განყოფილებაში **„მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად"** წარმოდგენილია: **ი. ქობალია** — სოციალისტური რევოლუციის თეორია და თანამედროვეობა.

„პარტიული ცხოვრების" განყოფილებაში დაბეჭდილია: **ს. მიქაძე** — პარტიული ორგანიზაცია ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ.

ჟურნალში წარმოდგენილია აგრეთვე განყოფილებები **„პროპაგანდისტთა დასახმარებლად"**, **„საუბარი მეცნიერების საკითხებზე"** **„საერთაშორისო ცხოვრება"**, **„ჟურნალისტისა და გაზეთების მომხილველი"**, **„კრიტიკა და ბიბლიოგრაფია"**, **„პარტიული ქრონიკა"**.

აი ვინ არცხვენს ფეიქართა სახელს

ყოველი მხრიდან

სტუმრად ინგლისში

ლონდონი, 26 თებერვალი. (საკ-დესი). ორ კვირაზე მეტია, რაც ინგლისის სამეფო საზოგადოების (ინგლისის მეცნიერებათა აკადემია) მიწვეთ იმყოფება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია.

საკდესის კორესპონდენტმა ვ. ბაბკინმა დელეგაციის მეთაურს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს მ. ვ. კელდიშს სთხოვა ეამბნა, როგორია მოგზაურობის შედეგები.

ჩვენი დელეგაციის პროგრამა მეტად საინტერესო და ფართო იყო, თქვა ნ. ვ. კელდიშმა. მოკლე ხნის განმავლობაში დავთვალიერეთ ინგლისის ბევრი სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში მეცნიერული მუშაობა წარმოებს საბჭოთა მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტით. განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა გვაქვს რადიოასტრონომიული ობსერვატორიის „ჯოდრელ ბენკის" მეცნიერებთან.

ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს

ვაშინგტონი, 26 თებერვალი. (საკდესი). აქ გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ რასკის პრეს-კონფერენცია. პრეს-კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი მდგომარეობის საკითხი. რასკი ამტკიცებდა, თითქოს მთავარი მიზანი ამერიკის პოლიტიკის და მოქმედებისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამ რაიონის მშვიდობა და სახელმწიფოთა უშიშრობა იყოს.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყველა პასუხმა კორესპონდენტთა მრავალ კითხვაზე დაადასტურა, რომ ამერიკის მთავრობას არ სურს გადაჭრას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილი კრიზისი მშვიდობიანი საშუალებებით და კელავ ომის გზას ადგას. იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ სურს ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრა, რასაკვირველია ამბობდა ინიმ, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა სამხრეთ ვიეტნამის საშინაო საქმეებში ერევა.

რასკს ჰკითხეს. რა საფუძველი ჰქონდა შეერთებულ შტატებს დაებომბათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაო. მან უპასუხა, ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობდნენ „სამხრეთ ვიეტნამის თავდაცვის" მოსაზრებებითო.

რასკს არსებითად არ უთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალებმა ახალი თავდასხმები არ მოახდინონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, ეს მოქმედება (ესე იგი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვა. — კორ. შენიშვნა.) ამერიკის შეერთებული შტატების ძირითად პოლიტიკას შეესაბამება.

რასკმა აღიარა, რომ საიგონში სუფევს არეულობა, არ არის „ერთობა" და რომ ამერიკის მთავრობა დიდად შეშფოთებულია პოლიტიკური მერყეობის გამო სამხრეთ ვიეტნამში, რომელიც, როგორც რასკმა თქვა, ძნელებს ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას.

ვიზიტმა შეაშფოთა

ბეირუთი, 26 თებერვალი. (საკდესი). პარლამენტი ისრაელს ეწვია როგორც სპეციალური წარმომადგენელი პრეზიდენტ ჯონსონისა. ამ ვიზიტმა ლიბანის პრესის მკვეთრი ანტიამერიკული კომენტარები გამოიწვია. გაზეთები წერენ, რომ არაბთა საზოგადოებრიობა აღშფოთებულია იმ პოლიტიკის გამო, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ არაბული ქვეყნების მიმართ. გაზეთ „ანნაჰარს" პარლამენის ჩასვლა ისრაელში მიაჩნია იმის დადასტურებად, რომ ამერიკის მმართველ წრეებს სურთ „გადაკეთონ შუა აღმოსავლეთის რუკა". მეორე გაზეთი „ალ-ჯარიდა" წერს, რომ ვაშინგტონი უგულებელყოფს არაბთა ინტერესებს. „ალ-ჯარიდა" ამერიკის შეერთებული შტატების მტრულ პოლიტიკას არაბთა მიმართ უდარებს საბჭოთა კავშირის მეგობრულ პოლიტიკას და აღნიშნავს: „სულაც არ არის გასაკვირი, რომ კვლავ უნაყოფოა ლაპარაკი არაბებსა და ვაშინგტონს შორის, მაშინ როცა საბჭოთა კავშირი აშკარად უჭერს მხარს არაბ ხალხებსა და სახელმწიფოებს მათს ბრძოლაში იმპერიალისტური ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის.

ნიქსონი აქებს

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ჩიკაგოში გაიმართა რესპუბლიკელთა კრება, რომელზეც გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი. მან მოსთხოვა ჯონსონს დაიცვას სამხრეთ ვიეტნამში „მოქმედების მტკიცე კურსი" და სამხრეთ ვიეტნამის პრობლემა გადაჭრას ომის საშუალებით, არასგზით არ დაეთანხმოს სხვა რაიმე საშუალებას. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ასეთი „მტკიცე კურსის" შესაძლო ვარიანტად ნიქსონმა დასახა ის, რომ მთელი დღე-ღამის განმავლობაში ბომბავდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას.

გაიფიცნენ „იუბარის" მეშახტეები

ტოკიო, 25 თებერვალი. (საკდესი). 24 საათის გაფიცვა გამოაცხადა დღეს ჰოკაიდოს შახტ „იუბარის" დაახლოებით 3.500 მაღაროელმა. სამი დღის წინათ მაღაროს გაზის აფეთქების შედეგად აქ დაიღუპა 61 მეშახტე. გაფიცულებმა ადმინისტრაციას მოსთხოვეს, რომ ქმედითი ღონისძიებანი განახორციელოს მაღაროელთა შრომის დაცვის უზრუნველყოფისათვის და დაღუპული ამხანაგების ოჯახებს მისცენ კომპენსაცია.

საშიში პოლიტიკა

ვაშინგტონი, 26 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი კვლავ იხილავს პოლიტიკას, რომელსაც ამერიკის მთავრობა ახორციელებს ვიეტნამში.

გუშინ წარმომადგენელთა კონგრესის პალატაში ისევ გაისმოდა იმათი ხმები, რომლებიც მოითხოვენ „ბინძური ომის" გაფართოებას ვიეტნამში. კონგრესმენები დორნი, ნეიი, დანკენი და მაკგრატი თავს დასხნენ მოლაპარაკების მომხრეებს, რომელთა წინადადებებს უწოდეს „სრულიად ფანტასტიკური და დაუჯერებელი". მათ მოუწოდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს მზად იყვნენ ყოველ მომენტში განაახლონ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა და გაგზავნონ სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ახალი სამხედრო ქვეგანაყოფები. ზოგიერთი კონგრესმენი მოითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უფრო ენერგიულად ჩაებას სამხრეთ ვიეტნამის ომში ამერიკის მოკავშირეები.

უპასუხა რა ამ კონგრესმენებს, დემოკრატმა უილიამ რაიენმა (ნიუ-იორკის შტატი) მოუწოდა მთავრობას „სერიოზულად განიხილოს შესაძლო პოლიტიკური მოწესრიგების პირობები". მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკვე ახლა არის წინამძღვრები მოლაპარაკებისათვის ვიეტნამის საკითხზე. ვიეტნამში ომის გაფართოების კურსი, განაცხადა რაიენმა, „უაღრესად საშიშია".

უტანი მოუწოდეგს

ნიუ-იორკი, 26 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გააკეთა განცხადება, რომელშიც კვლავ ხაზი გაუსვა, უნაყოფო და საშიშია ცდები ვიეტნამის პრობლემა ომის გზით გადაიჭრასო. უ ტანმა მოუწოდა მხარეებს „პოლიტიკური ღონისძიებებით" გადაჭრან ვიეტნამში ომის შეწყვეტის საკითხი. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა სერიოზულ საფრთხეს შეიცავს ომის კურსი ვიეტნამში.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოების კომენტარებში აღნიშნულია, რომ უ ტანმა ეს განცხადება გამოაქვეყნა თიქმის იმ დროს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა უარი თქვა მოლაპარაკებაზე ვიეტნამის შესახებ.

ძია სემი: რას არ გააკეთებ თავისუფლების დასაცავად...
ნახატი ვ. შუბერტისა
გაზეთ „იუნგვეელტიდან" (გდრ).

ჯარგავენ სამუშაოს

ბონი, 25 თებერვალი. (საკდესი). უკანასკნელ წლებში „საერთო ბაზრის" ქვეყნებში სამუშაო დაკარგა და ქუჩაში აღმოჩნდა ასეულ ათასობით მეშახტე. როგორც „ფრანკფურტერ რუნდშაუ" იუწყება, უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ევროპის ეკონომიური გაერთიანების მონაწილე ქვეყნების ქვანახშირის საწარმოებში დასაქმებულ მეშახტეთა რიცხვი მესამედით შემცირდა. თუ 1957 წელს ამ ქვეყნების შახტებში მუშაობდა 900.000 მაღაროელი, ამჟამად მათი რიცხვი 600.000-მდე შემცირდა.

აჯანყეგულთა მოქმედეგა

კაირო, 25 თებერვალი. (საკდესი). სამი ინგლისელი ჯარისკაცი დახოცეს და რამდენნაი დაჭრეს, როცა „არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის" აჯანყებულთა რაზმები თავს დასხნენ ინგლისის ყაზარმებს ბასტაში, ნათქვამია კაიროს ფრონტის წარმომადგენლობის სამხედრო კომუნიკეში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა.

ამ ცნობას მენის სააგენტო დასძენს, რომ იმ ბრძოლის შედეგად, რომელიც დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა, თიოქმის მთლიანად განადგურდა ინგლისის სამხედრო საწყობი.

ინგლისის ჯარებმა, ნათქვამია კომუნიკეში, ბარბაროსულად დაანგრიეს სოფელი ჰასანი ლალის რაიონში, მოსპეს პლანტაციები და ჰები.

უცვლელი კურსი

ვაშინგტონი, 26 თებერვალი. (საკდესი). გუშინ თავდაცვის მინისტრმა რ. მაკნამარამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ამერიკის საბრძოლო თვითმფრინავებს, იარაღს და ჯარებს კვლავაც უშუალოდ გამოვიყენებთ ვიეტნამის ომშიო.

„ჩვენს პოლიტიკაში არავითარი ცვლილებანი არ მომხდარა, შეიცვალა მხოლოდ ჩვენი ტაქტიკა და შეიარაღება", — განაცხადა მინისტრმა ჟურნალისტთა შეკითხვების საპასუხოდ ამერიკის შეერთებული შტატების ომ გადაწყვეტილების გამო, რომ ამერიკამ თავისი ავიაცია და მფრინავები გამოიყენოს საომარი მოქმედებისათვის სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ.

ჯილდოეგი — ზორგეს თანამეგრძოლეგს

ბერლინი, 25 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. აბრასიმოვმა დღეს სახელმწიფო ჯილდოები გადასცა მამაცი საბჭოთა მზვერავის რიჰარდ ზორგეს თანამებრძოლებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს მაქს და ანა ბლა დიდი სამამულო ომის წინ და ამ ომის პერიოდში, მ. კლაუზენი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, ა. კლაუზენი — წითელი ვარსკვლავის ორდენით.

მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი

ლაიპციგის საიუბილეო ბაზრობის წინ

28 თებერვალი-დან 9 მარტამდე გაიმართება ლაიპციგის ტრადიციული ბაზრობა, რომელიც წელს თავის იუბილეს აღნიშნავს. ლაიპციგის ბაზრობა რვაასწლიანი ტრადიციით ყველაზე ძველი და დამსახურებულია საერთაშორისო ბაზრობათა შორის, — თქვა „კომუნისტის" კორესპონდენტთან საუბარში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სავაჭრო წარმომადგენელმა ვოლფგანგ ფელბერმა.

ლაიპციგის მრავალწლიანი ისტორია მეტყველებს იმაზე, რომ ეს ქალაქი მუდამ უწყობდა ხელს ხალხთა შორის ვაჭრობისა და ურთიერთობის განვითარებას. მაგალითად, სავაჭრო კავშირი ლაიპციგსა და მოსკოვს შორის 1508 წლიდან არსებობს. აღმოსავლეთთან ვაჭრობამ მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა ბაზრობა. მის ერთ-ერთ ანგარიშში, რომელიც 1711 წელს ეკუთვნის, ნათქვამია:

„რუსებმა თავიანთი ოთხთვალებით ჩამოიტანეს 3500 ცენტნერი ბეწვეული", ხელს უწყობდა რა ტექნიკურ პროგრესს, ლაიპციგის ბაზრობის პოპულარობა თანდათან იზრდებოდა და საერთაშორისო ბაზრობათა საქმეში ლაიპციგი სხვა ქალაქებზე წინ მიდიოდა. მე-19 საუკუნის დასასრულს კი ლაიპციგის ბაზრობა დრომოჭმული სასაქონლო ბაზრობიდან ნიმუშების ბაზრობად იქცა.

ფაშიზმის უღლისაგან გერმანელი ხალხის განთავისუფლებასთან ერთად ლაიპციგის ბაზრობის ისტორიაში ახალი თავი იწყება. საბჭოთა კავშირის დიდსულოვანი დახმარების წყალობით ომისშემდგომი წლებიდან დაწყებული ლაიპციგის ბაზრობა პირველხარისხოვან საერთაშორისო ვაჭრო-პოლიტიკურ მოვლენად ხდება მსოფლიოში.

ლაიპციგის ბაზრობა საერთაშორისო თავისუფალი ვაჭრობის, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ბაზრობის ტრადიციის შენარჩუნებას ხელს უწყობდა არა მარტო ტრადიციისათვის, იგი მუდამ ისწრაფოდა გაეფართოებინა ლაიპციგის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ადგილის, როლი.

საიუბილეო ბაზრობა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებებს მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი დონისათვის ბრძოლაში, სახალხო მეურნეობის დაეგეგმვასა და ხელმძღვანელობაში ახალი ეკონომიური სისტემის დანერგვისათვის ბრძოლაში, სწორედ ამ განუწყვეტელი ეკონომიური პროგრესის შედეგად ჩადგა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოს ათ მოწინავე სახელმწიფოთა რიცხვში და ამგვარად იქცა სოლიდურ სავაჭრო პარტნიორად.

საიუბილეო ბაზრობა შესაძლებლობას მოგვცემს განვიხილოთ მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და მოვამზადოთ შესაბამისი შეთანხმებები. ბაზრობა ეწყობა დევიზით: „ლაიპციგის ბაზრობის 800 წელი — თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობისა და ტექნიკური პროგრესისათვის".

საიუბილეო ბაზრობას უფრო მეტად, ვიდრე მანამდე გამართულ სხვა რომელმე ბაზრობას, შეიძლება ვუწოდოთ თავისუფალი მსოფლიო ვაჭრობის ცენტრი, რადგან თავისი მრავალწლიანი ისტორიის მანძილზე ლაიპციგის ბაზრობას არასოდეს არ ჰქონია ასეთი საერთაშორისო ხასიათი.

ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს 9000 ექსპონატი 70 ქვეყნიდან. ბაზრობაზე უფრო მეტი ადგილი დათმობილი ექნება სოციალისტური, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო ძლიერების ამსახველ ექსპონატებს. ამ დღეებში ლაიპციგში შეხვდებით 100 ქვეყნის 10.000-მდე კომერსანტს — სხვადასხვა ფირმების, კონცერნების, შეურნეობის მთელი დარგების ინტერესების წარმომადგენლებს. აქ იქნებიან წარმოდგენილნი ასევე ქვეყნებიდან, ნაციონალური ეროვნული მოთავეობანი, მოთავეობათა დელეგაციები, რომლებიც განიხილავენ სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო პრობლემებს, აგრეთვე სავაჭრო პალატათა და ეკონომიურ გაერთიანებათა დელეგაციები, რომლებიც ურთიერთშორის დადებენ შეთანხმებებს საქონლისრულვნის მოწესრიგებისა და ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე.

თავისი მოცულობით საიუბილეო ბაზრობა აღემატება ლაიპციგის ბაზრობის ყველა ადრინდელ მასშტაბებს, უკავია 300.000 კვადრატული მეტრი. საგამოფენო ფართობის მხრივ იგი ყველაზე ვრცელი იქნება წინანდელ ბაზრობებთან შედარებით. 116.000 კვადრატული მეტრი, ე. ი. მთელი ფართობის 1/3-ზე მეტი, დაკავებული ექნებათ საზღვარგარეთულ ექსპონატებს. ამ მხრივ ეს ბაზრობა უდიდესი იქნება მის ისტორიაში.

ბაზრობის ყველაზე დიდი ექსპონენტი იქნება საბჭოთა კავშირი. საბჭოთა 20 საგარეო ვაჭრობის გაერთიანება ბაზრობაზე გვიჩვენებს საბჭოთა მანქანათმშენებლობის, ელექტრო და სამედიცინო ტექნიკის საუკეთესო ნიმუშებს. აგრეთვე საატრანსპორტო საშუალებათა, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათა დიდ არჩევანს.

საიუბილეო ბაზრობა შესაძლებლობას იძლევა თავი მოვუყაროთ გამოცდილებასა და ცოდნას მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში. ამიტომ მრავალი ქვეყანა ბაზრობაზე გზავნის სხვადასხვა დარგის ყველაზე გამოცდილ და კვალიფიციურ ტექნიკოსებს გამოცდილების საერთაშორისო გაცვლის მიზნით.

ბაზრობის კულმინაციური წერტილი იქნება 200 საიუბილეო ოქროს მედლისა და საიუბილეო დიპლომების გადაცემა როგორც ტექნიკური, ისე ფართო მოხმარების საქონლის ექსპონატებისათვის, რომლებიც საუკეთესო ხარისხის, ჩინებული გაფორმებისა და უმაღლესი ეკონომიური ეფექტურობისა იქნება.

საუბილეო ბაზრობა განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ ლაიპციგის ბაზრობათა ამოცანასა და მიზანს წარმოადგენს თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა და ხალხთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცება.

* * *

სურათზე: სასტუმრო „ქალაქი ლაიპციგი".

მან უნდა იცოცხლოს!

ხუსტო ლოპესის დასაცავად

ხუსტო ლოპეს დე ლა ფუენტეს, მშვიდობელ მუშას, მადრიდის ფრონტზე რესპუბლიკური არმიის ბრიგადის მეთაურს, მეორე მსოფლიო ომში ანტიფაშისტ მებრძოლს, ესპანეთის კომუნისტური პარტიის წევრს — იმავე ხვედრს უმზადებენ, რაც ხულიან გრიმაუს არგუნეს. ფრანკომ გადაწყვიტა ხუსტო ლოპესი გასამართლოს სამხედრო ტრიბუნალმა, რომელიც, ყველა ნიშნის მიხედვით, აპირებს სიკვდილი მიუსაჯოს მას. „ფიგაროს" კორესპონდენტმა, რომელმაც, ჩანს, იცის მთავრობის განზრახვა, თავისი სტატია სწორედ ასე დაასათაურა: „ახალი გრიმაუს საქმე". ილუზიებს არ უნდა ვიქმნიდეთ: ხუსტო ლოპესის სიცოცხლეს უდიდესი საფრთხე მოელის. სანამ ჩვენს დაუვიწყარ ხულიანს დახვრეტდნენ, ბევრს კიდევ ეეჭვებოდა, რომ ომის დამთავრებიდან ოცდახუთი წლის გასვლის შემდეგ ფრანკო გაბედავდა ასეთი დანაშაულის ჩადენას. დღეს კი აღარავის ეეჭვება: ფრანკოს ყოველგვარი დანაშაულის ჩადენა შეუძლია. „ულტრებს", რომლებიც მას გარს ახვევიან, ვერ აჩერებს ვერავითარი მოტივები, მათ შორის პოლიტიკური მოტივებიც. გამოდის, რომ მათი ლოზუნგი გახდა: „დავიღუპოთ ისე, რომ ხოცვას ნუ შევწყვეტთ". ისინი ხოცავენ, თუმცა თვითეული ახალი დანაშაული მათს მდგომარეობას სულ უფრო მერყევსა და არასიმედოს ხდის, იწვევს გულისწყრომის ახალ ტალღებს, რომლებიც შთანთქმენ მათ და მათს წყეულ რეჟიმს.

რის იმედი აქვთ ფრანკოს და მის „ულტრებს", როცა ემზადებიან ისეთი ადამიანის მოკვლისათვის, რომელსაც ისეც ოცდასამი წლის პატიმრობა აქვს გამოვლილი? ამით რის მიღწევა სურთ?

ნუთუ იმედოვნებენ, რომ ამ გზით შეაჩერებენ მზარდ ოპოზიციას? ან იქნებ ფიქრობენ, რომ მუშები და სტუდენტები შეშინდებიან და შეწყვეტენ გაფიცვებსა და საპროტესტო დემონსტრაციებს? იქნებ იმის იმედი აქვთ, რომ ახალი ბოროტმოქმედება ბოლოს მოუღებს ლეგხების უკმაყოფილებას და თავიდან აიცილებს მათ მათი წყობილების დამხობას და მოსპობს უფსკრულს „ულტრებსა" და ხალხს შორის?

გამოდის, რომ გრიმაუს მოკვლამ მათ ვერაფერი ვერ ასწავლა. მათ ალბათ დაავიწყდათ, რომ ტყვიებმა, ხულიანის სიცოცხლე რომ შეწყვიტეს, მათი რეჟიმიც დაცხრილეს.

მაგრამ შეუძლებელია მოუწოდებდე იმათ საღ გონებას, ვისაც მხოლოდ სიძულვილი ამოძრავებს. ხუსტო ლოპესს უყენებენ ბრალდებას ეგრეთწოდებული „საერთო საქმის" გამო, რომელიც ფრანკისტმა გესტაპოელებმა შეთითხნეს წამებით გამძაფულ აღიარებათა საფუძველზე. ამ „საქმეზე" უკვე დასდეს მსჯავრი ასობით ადამიანს, რომლებმაც არც კი იცოდნენ, რაში სდებდნენ ბრალს. ამ „საქმის" მიხედვით „დამნაშავედ" ითვლება ყველა ესპანელი, რომელიც რესპუბლიკას იცავდა.

ამ ახალი დანაშაულის წინააღმდეგ პროტესტს რომ ვიცხადებთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობთ სიცოცხლე შეუუნარჩუნოთ კეთილშობილ და მამაც ადამიანს, რომელიც მთელი ძალღონე მუშათა საქმეს, ხალხის საქმეს მოახმარა. ამასთან ერთად ჩვენ გზრუნავთ ესპანეთის მომავლისთვისაც, რომელიც ანგარიშის უსასრულო და სასტიკ გასწორებად არ უნდა იქცეს.

და, მომავალზე რომ ვფიქრობთ, ვაცხადებთ: პროცესის შედეგისათვის პასუხისმგებელი არიან ყველანი, ვინც ამა თუ იმ მოტივით ბრუნავს ხვალინდელი დღისათვის. პასუხისმგებელნი არიან მუშები, რომლებსაც არ შეუძლიათ დუმდნენ და გულგრილად შეჰყურებდნენ, თუ როგორ მზადდება ამ ადამიანის მოკვლა, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა მათთვის; პასუხისმგებელნი არიან ინტელიგენციი და სტუდენტობა, რომლებიც მთელი ერის სახელით აცხადებენ პროტესტს; პასუხისმგებელნი არიან ოპოზიციის ძალები.

მაგრამ ნაკლები პასუხისმგებლობა როდი აკისრიათ გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს, რომლთა წარმომადგენლები იკრიბებიან ვიანის სასახლეში. ისინი ჯერჯერობით ხელისუფლების სათავეში არიან და იმის პრეტენზია აქვთ, რომ გამოეყონ და ჩამოშორდნენ „ულტრებს". მათ პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ ახალ „ხულიან გრიმაუს საქმესთან". თუ ისინი კვლავ დუმდნენ 1963 წლის აპრილში, თუ ისინი ქედს მოიხრიან „ულტრების" წინაშე, სწორედ მათ დაეკისრებათ ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის. იმიტომ, რომ იგი არ მოხდება, თუ ისინი არ იქნებიან თანამონაწილენი. და დაე შემდეგ ნუ დაიწყებენ თავიანთ მეგობრებისათვის ჩაჩურჩულებას, ჩვენ ეს არ გვანდოდეთ.

მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ მკვლელობას და თავს ნუ იძვრენენ; მათ შესაძლებლობა აქვთ ნამდვილად გაემიჯნონ „ულტრებს", თავიდან აიცილონ ბოროტმოქმედება, დაგმონ დანაშაულები, თუ ისინი გამდგარან ერთ-ერთ თავიანთი შავბნელი ზრახვები. მათ მთელი ესპანეთი შეჰყურებს და ულმობელი სიმკაცრით დაგმობს.

ეს საქმე ნათელ პოზიციას მოითხოვს ეკლესიისგანაც. როცა გრიმაუს მოკვლა მზადდებოდა, ზოგიერთი მღვდელი განაჩენის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ გამოვიდა. მაგრამ ამ მოკრძალებულმა და არაოფიციალურმა ჩარევამ საქმეს ვერ უშველა; ფრანკომ მხოლოდ დასცინა მათ. ესპანეთის საეკლესიო იერარქიისათვის დაე მაგალითი იყოს ახლანდელი პაპის პაველ VI-ის შემთხვევა. მილანის კარდინალი რომ იყო, იგი საჯაროდ გამოვიდა ჯორჯ კონლის დასაცავად. ღღეევანდელი პროცესი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. საქმე ხომ იმას ეხება, რომ ცხადი გახდეს, თუ სახელმიწოდ ვის მიაჩნია, რომ ომი, რომელმაც ესპანელები ოცდაათიან წლებში გაჰყო, გრძელდება, რომ ტროშეები და ეკლესია მავთული კვლავ ქმნიან სისხლიან ზღვარს ერთთა და მეორეთა შორის. საქმე ეხება იმას, რომ ცხადი გახდეს, თუ ვის უნდა შური ითქოს და ვინ ეძებრობა შუღლის შეწყვეტას. შუღლი კი გარდუვალად გამოიწვევს ახალ შურისძიებას.

ეს არა მარტო პოლიტიკური პრობლემაა, არამედ მორალურიც. ეს ერთ-ერთი პრობლემაა, რომლის მიმართ ჭეშმარიტად ქრისტიანი ადამიანი გულგრილი ვერ დარჩება. მისი გადაწყვეტისას გაუგებრობითაც კი არ შეიძლება ჯალათების მხარეზე დადგე. ჩვენ მოვაგონებთ ამას ეკლესიას, ვითვალისწინებთ რა სამღვდელოების ნაწილის (რომელიც დღეს უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე გუშინ იყო) ღონისძიებებს — თავისი წვლილი შეიტანოს „აჯიორნამენტოში" („შერიგებაში"), რაც პაპმა იოანე XXIII-ემ დაიწყო, მის მისწრაფებას უარყოს ჯვაროსნული ლაშქრობათა სულისკვეთება და უფრო ახლოს იყოს ხალხთან, რომლის ნამდვილი წარმომადგენელია ხუსტო ლოპესი.

იფიქრეთ იმაზე, თუ რის გაკეთება შეუძლია ეკლესიას და საერთოდ მთელ კათოლიკურ მოძრაობას — საეკლესიო საზოგადოებებით დაწყებული და დემოკრატ ქრისტიანთა პოლიტიკური ჯგუფებით დამთავრებული. იფიქრეთ იმაზეც, რომ ამ საქმეში გადაჭრით ჩარევა გაძლიერებდა „პატრიოტიზმის გრძნობას", რომელსაც გულმოდგინედ უნერგავენ ესპანელებს. და პირიქით, ახალი „გრიმაუს საქმე" კიდევ უფრო ჩაახშობდა ამ გრძნობას.

დღეს არ არის არც ერთი ესპანელი, ვისი სინდისიც ანთებული არ იყოს იმის სურვილით, რომ გამოსწორებულ იქნას აღმაშფოთებელი უსამართლობა, რომლის გამორჩეს საფრთხეც არსებობს. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს არმიის ქცევას უკანასკნელ ხანს. ჩვენ გვგონია, რომ არმიის სარდლობის ერთი ნაწილის საქმიანობაში ისახება ბონივრული ტენდენცია ჩამოაშორონ არმია რეპრესიებისა და შურისძიების პოლიტიკაში მონაწილეობას, დაამტკიცონ იგი თავისი ეროვნული მოვალეობის შესრულების გზაზე. ისიც ვიცით, რომ „ულტრები" ცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ ამას. „ულტრათა" სურვილია ჩაითრიონ სამხედროები მთავრობის ყველაზე ბინძურ საქმეებში, აიძულებენ არმიის მოსამართლეებს მოაწყონ ინსპირირებული პროცესები „არმიის ღირსების შეუარცხყოფის" ბრალდებით ან, როგორც ამ შემთხვევაში, „ომის დროს ჩადენილი მოქმედებისთვის". მთავრობის პროპაგანდა კი კვლავ გაიძახის ოცდახუთი წლის მშვიდობაზე.

ამისადმი მისწრაფება, რომ არმიის სასამართლო ესოდენ სათაკილო მდგომარეობაში ჩააყენონ, სავსებით უეჭველს ხდის ხელისუფალთა სურვილს — ისევე როგორც წინათ, დაუპირისპირონ არმია ხალხს. მათ სურთ კვლავ გამოიყენონ არმია როგორც ფრანკისტთა ოლიგარქიის პოლიტიკური იარაღი, ნაცვლად იმისა, რომ მიაჩნდეთ იგი ერის დაცვის იარაღად, რომლის მოქმედება არ შეიძლება განისაზღვრებოდეს შემთხვევითი და წარმავალი ფაქტორებით. ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე ეს ადვილი საქმე როდია. მაგრამ სამხედროებმა უნდა შეიგნონ, რომ სამოქალაქო ომი მეოთხედი საუკუნის წინათ დამთავრდა, და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მათ მიდრეკილება არა აქვთ განაგრძონ იგი.

ეი ის პრობლემა, რომლის გადაჭრაც გვიჩვენებს, რამდენად პატიოსანი არიან ისინი, ვინც ლაყბობს „ცვლილებათა, განახლებათა პერიოდზე", რომლებსაც თითქოს განიცდის დღეს ესპანეთი, — მიუხედავად იმისა, სწორია თუ მცდარი მათი შეხედულებანი. საქმე ეხება თვითეული ესპანელის ნამდვილ გამოცდას, როგორიც უნდა იყოს მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო.

რაც უნდა მოხდეს, ახალი „გრიმაუს საქმე" ახალი ძალით გახდის ცხადს, რომ ფრანკისტული რეჟიმი და მისი მეთოდები, რომლებიც სამოქალაქო ომის დროიდან არ შეცვლილა, მისი ფაშისტური შეურიგებლობა ზიანს აყენებს ესპანეთს — როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საქმეებში, იგი ერთხელ კიდევ გახდის ცხადს, რომ ეროვნული ინტერესები, უფრესად ფართო გაგებით, მოითხოვენ დიქტატურის მოშორებას და მის შეცვლას დემოკრატიული და თავისუფალი წყობილებით.

ნურავინ ნუ წამოიწყებს საშიშ თამაშს ნაცისტური გენოციდის აღსადგენად, ვინაიდან ამ შემთხვევაში კანონის სიმკაცრე და ისტორიის სიმართლე შეიძლება ბუმერანგი გახდნენ. ამ აღდგენამ შეიძლება გამართლოს მომავალში ისეთი რამ, რაც არა სურს არც ერთ ანტიფრანკისტს — და, ცხადია, არა გვსურს ჩვენ, კომუნისტებს. როცა ფაშისტი „ულტრები", ჰიტლერის მომდევრები, „გენოციდზე" და „ადამიანების წინააღმდეგ დანაშაულობებზე" ლაპარაკობენ, ისინი არა მარტო ცინიზმის მწვერვალებს აღწევენ, არამედ ქარაფშუტობასაც, რომელმაც შეიძლება ქარაფშალი გამოიწვიოს.

ხუსტო ლოპესი, რომელიც ცხოვრობდა მუშის, დაუცხრომელი მებრძოლი კომუნისტის, ხალხის დამცველის პატიოსანი ცხოვრებით, მშვიდად ელის ქარაბანჩელის საკანში, თუ რით დამთავრდება პროცესი. მას იმდენჯერ გაუწირავს თავისი სიცოცხლე წმიდა საქმისათვის ბრძოლაში, რომ სიკვდილის საფრთხე წუთითაც ვერ შეუტყვიეს მამაცობას. ჩვენი დროის კომუნისტები, ისევე როგორც ოდესღაც პირველი ქრისტიანები, არ უფრთხიან სიკვდილს, თუმცა ჩვენ მკვლელობითი აღდგომა არა გვწამს. მათ იციან, რომ დაღვრილი სისხლი არასოდეს არ არის ამაო, რომ ხალხის გმირები მარად ცოცხლობენ მის ხსოვნაში. მაგრამ ესპანელ ხალხს, ანტიფაშისტებს, კომუნისტურ პარტიას მეტისმეტად ბევრი წამებული ჰყავთ! ჩვენ გვინდა ცოცხალი ხუსტო ლოპესი, რომელიც დაუბრუნდება თავისიანებს, ცოლშვილს, ამხანაგებს, დემოკრატიულ ესპანეთს.

საჭიროა თავიდან აცილებულ ი

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ქართველი ექიმები ალჟირში

საფრანგეთის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ალჟირი მშვენებლობისა და აყვავების გზას დაადგა. საძირკველი ეყრება ქვეყნის კულტურული და მატერიალური დონის ამაღლებას. დამოუკიდებელი განვითარების ამ გზაზე ალჟირელი ხალხი საკუთარი კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდის. ამ საქმეში მას მნიშვნელოვან დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი.

ამ დღეებში სსრ კავშირის ჯანმრთელობის სამინისტროსთან არსებული წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოების მიერ გაცემული ორწლიანი საგზურებით ალჟირში გაემგზავრა მაღალკვალიფიციური ექიმთა დიდი ჯგუფი. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენიც — სხვადასხვა სპეციალობის ექიმები, რომლებიც ოჯახებით გაემგზავრნენ ალჟირში. ესენი არიან რენტგენოლოგები რ. ჩიკურიშვილი და ნ. გალუსტაშვილი, ქირურგი ნ. დარჩია, გინეკოლოგები დ. მაჭარაძე და ა. კუპრიშვილი, თერაპევტები გ. სიხარულიძე და შ. კორაშვილი.

მ. გველესიანი.

„ჯარისკაცის მამა" მწყემსებთან

თელავი. (საკ. კორ.). ივრისპირეთში თელავის მეცხვარეობის საკოლმეურნეოთაშორისო რაიონულ ფერმის მრავალრიცხოვანი თეთრი ძარავანი ბინადრობს. საძოვრებზე დილია გაჩაღებული, მეცხვარეები „მოსავალს იმკიან".

თელავის კინოფოტოელის განყოფილების მეკინოკოსები ზამთრის საძოვრების ხშირი სტუმრები არიან. ამ დღეებში მწყემსებს უჩვენეს ახალი კინოსურათი „ჯარისკაცის მამა".

გათუმს 170 ათასი ტურისტი ესტუმრება

გეგით თუ მატარებლით, თვითმფრინავით თუ ავტომანქანით მოეშურებიან აჭარის კენ ტურისტები, ექსკურსანტები, დამსვენებლები. ბათუმში ტელმანის ქუჩაზე ერთი ორგანიზაციაა, რომელსაც სპეციალური მოვალეობა აკისრია — გააცნოს ჩამოსულთ აჭარის წარსული, აწმყო და მომავალი.

ეს არის ბათუმის საექსკურსიო ბიუროს. თავისი არსებობის ორი წლის მანძილზე იგი 300 ათასზე მეტ ექსკურსანტს მოემსახურა. მარტო მიმდინარე წელს 170 ათასზე მეტ კაცს მიიღებს. მათ ჩამოიყვანს 30-მდე ტურისტული მატარებელი და თბომავლები — „როსია" და „აღმირალი ნახიმოვი".

მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონისათვის საექსკურსიო ბიუროში დიდი მზადებაა გაჩაღებული. დაამტკიცეს რამდენიმე ახალი მარშრუტი. დამთვალიერებლები ნახავენ ნაესაღგურს, თეატრებს, ქალაქის ცენტრს, მუზეუმებს, ზღვისპირა და პიონერთა პარკებს, ბათუმის ახალშენებლობებს, აჭარის გზატკეცილს, აგრეთვე ფაბრიკა-ქარხნებს.

წელს პირველად შეიმუშავეს ახალი მარშრუტი: ბათუმი-ფოთი-ბათუმი. ბათუმიდან ტურისტები გაეცნენ ავტობუსით, დაათვალიერებენ საქართველოს უძველესი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს და უკან დაბრუნდებიან გემით.

წელს ახალი მარშრუტი იქნება აგრეთვე სოფელ დაგვის კოლმეურნეობა და ხუცუბნის ძმათა სასაფლაო. ეს ის ადგილია, სადაც განისვენებენ 1877-78 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომში მამაცურად დაღუპული ქართველი და რუსი მეომრები.

ბათუმის წლევანდელი საზაფხულო სეზონი ტურისტებისათვის მიმზიდველი და საინტერესო იქნება.

ბ. მანია.

მშობლიური პეიზაჟები

თეატრალური ქრონიკა

● **ოზურგეთის** სახელმწიფო დრამატული თეატრის ქართულმა დასმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ო. ჩხეიძის პიესა „მამაო თეოდორე".

პიესას დადგმა ეკუთვნის აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს რეჟისორ გ. სულიკაშვილს, მხატვრული გაფორმება — თ. ჟვანიას, მუსიკა — კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს.

მთავარ როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები მ. ჩუბინიძე, თ. ჭავჭავაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ბ. თოფურიძე, ა. ბოკუჩავა, ნ. მასხულია.

ნ. მიქაშავიძე.

● **ქუთაისის** მახარაძის სახელობის რკინიგზელთა კლუბის თეატრალურმა კოლექტივმა განახორციელა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის სამმოქმედებიანი კომედიის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" დადგმა.

ივ. ბუხაიძე.

● **დუშეთი.** (საკ. კორ.). სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ალ. ყაზბეგის „ელგუჯა" (ინსცენირება შ. გოცირელისა).

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ჩერქეზიშვილმა. მხატვრულად გაფორმა ტ. ოთარაშვილმა.

შემთხვევები

ცეცხლთან ბრძოლა

ხობი. (საკ. კორ.). სუსხიანი დილა იყო, ქარი გამუდმებით ქროდა. საუბაოზე მიჩქარეულნენ ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშები. ვახტანგ, რაულ. და ბაკო სისვაძეები.

— შეხედეთ, რაღაც იწვის!—წამოიძახა უცებ ვახტანგმა და გაიქცა მეურნეობის საერთო საცხოვრებელი ბინებისაკენ. მას ამხანაგებიც მიჰყვნენ.

სწრაფად შეავარდნენ აღმოდებული ბინაში და ხანძრის კერას არ მისცეს გავრცელების საშუალება. მალე ხანძარიც ჩაქრეს.

ცეცხლთან ბრძოლის დროს კვამლისაგან სუნთქვა შეეკრა რაულ სისვაძეს. მას პირველი დახმარება აღმოუჩინა ექთანმა ვ. ალექსანდროვამ და დაბარალებული სასწრაფოდ მოათავსა ხობის რაისაავადმყოფოში.

გრძნობადაკარგულ რ. სისვაძეს დროული სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს ექიმმა ა. ცხადაიამ და ექთანმა თ. წურწუმიამ.

ბორჯომის ნაკრძალში. ფოტო ზ. დათუაშვილისა.

ლიდერები არ შეცვლილან

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ქალთა გუნდებს შორის წინ არის რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის გუნდი, რომელსაც 13 ქულა აქვს. უკანასკნელ მატჩში რიგელებმა დამარცხეს ნოვოსიბირსკის „სიბირიაჩკა" 64:54. წარმატებით გამოდის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი. მორიგ მატჩში მან დამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში" 50:47. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ლენინგრადის სტუდენტ ქალთბურთელებთან ერთად 9 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ.

ვაეთა გუნდებს შორის ლიდერობას 13 ქულით არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი ინარჩუნებს. კიევის „ხტროტილი" 10 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება. უკანასკნელი შეხვედრა კი